

„კაცი ძლიერი და ერ-მრავალი“ (იოანე მარუშის ძე)

ავტორი: მიხეილ ბახტაძე

ძნელი სათქმელია, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები საქართველოში X-XI საუკუნეების მიჯნაზე, რომ არა ერთი პიროვნება. პიროვნება, რომლის შესახებაც მემკვიდრეები სამწუხაროდ მეტად მწირ ინფორმაციას გვანვდიან. პიროვნება, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს გაერთიანების საქმეში და რომლის გარეშეც შესაძლოა ყველაფერი სულ სხვანაირად წარმართულიყო.

იოანე მარუშის ძე, „კაცი ძლიერი და ერ-მრავალი“, ასე მოიხსენიებს მას „მატიანე ქართლისაი“. სწორედ ეს „ძლიერი და ერ-მრავალი“ კაცი იყო ქართლის ერისთავი X საუკუნის 70-იან წლებში. ამ დროისათვის ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის პირველობისათვის მიმდინარე ბრძოლაში უკვე გამოკვეთილი იყო აფხაზთა სამეფოს უპირატესობა. აფხაზთა მეფეებს ექვემდებარებოდა არა მხოლოდ მთელი დასავლეთი საქართველო, არამედ შიდა ქართლიცა და ჯავახეთიც. მდგომარეობა დაიძაბა 975 წელს, როდესაც ქუთაისში სამეფო ტახტი უსინათლო თეოდოსიმ დაიკავა.

თეოდოსის გამეფებისთანავე კახელებმა ქართლში ილაშქრეს და უფლისციხეს შემოადგნენ. სწორედ ამ დროს გამოიჩინა უდიდესი გონიერება აფხაზთა მეფის ერისთავმა ქართლში იოანე მარუშისძემ.

იოანე, მარუშისძეთა – იგივე მარუშიანთა ძლიერი და გავლენიანი საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. X-XI საუკუნეებში ამ საგვარეულოს წევრები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მარუშიან-მარუშისძეთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდნენ: X საუკუნის 60-იან წლებში მოღვაწე ზვიადი, რომელიც აფხაზთა მეფის



უფლისციხე



ბაგრატ III



ზვიად სპასალარი



ბაქსის მონასტერი

ერისთავი იყო ჯავახეთში; ბაგრატ III-ის უახლოესი თანამებრძოლი სპასალარი ზვიადი, რომელმაც ტაოში, ფანასკერტის ციხეში გარდაცვლილი ბაგრატ III ბედიში გადაასვენა. გიორგი I-ის დროს ზვიად სპასალარი ერთ ხანს კლდეკარის ერისთავიც იყო.

მარუშისძე-მარუშიანთა საგვარეულოს განშტოება იყო ვარდანისძეთა საგვარეულო, რომელიც XI-XIV საუკუნეებში სვანთა ერისთავობას ფლობდა.

975 წელს, როდესაც კახელები უფლისციხეს შემოეწვევნენ, ქართლის ერისთავს დახმარება წესით საკუთარი მეფისათვის უნდა ეთხოვა, მაგრამ იოანე მარუშისძემ კარგად იცოდა, რომ ერთადერთი პიროვნება, რომელსაც საქართველოს გაერთიანების საქმის გაგრძელება შეეძლო, საამისო ძალა და ავტორიტეტიც ჰქონდა, დავით III ბაგრატიონი იყო. დავითი ტაოელ ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა. X საუკუნის II ნახევარში მოღვაწე ქართველ მეფე-მთავრებს შორის ის ყველაზე ძლიერი, ენერგიული და გავლენიანი იყო. „მატიანე ქართლისაი“ მოგვითხრობს, რომ იოანე მარუშის ძემ მოციქული გაუგზავნა დავით III-ს და ქართლში გამოლაშქრება და ამ მხარის დაკავება შესთავაზა – „ამან წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა; აწვია, რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი: ანუ დაიმჭიროს თვით, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის-წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი. ესევე ივანე მარუშის-ძე ეძებდა ბაგრატს მეფედ“.

975 წელს დავით კურაპალატი ქართლში მოვიდა. კახელები იძულებულნი გახდნენ უფლისციხისათვის ალყა მოეხსნათ და უკან გაბრუნებულიყვნენ. დავითმა უფლისციხე დაიკავა, ქართლის აზნაურები შეკრიბა, მათ ბაგრატ გურგენის ძე ბაგრატიონი წარუდგინა და უბრძანა, „ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი“. ბაგრატი, დავით კურაპალატის შვილობილი, ქართველთა მეფის, ბაგრატ II-ის შვილიშვილი და აფხაზთა მეფის დის, გურანდუხტის შვილი იყო. აქედან გამომდინარე, ის სამი ტახტის მემკვიდრე იყო და ამას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. არანაკლები მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო ბაგრატის პიროვნული თვისებებიც.

დავით კურაპალატმა ქართლი დატოვა და ტაოში დაბრუნდა. ამით ისარგებლეს ქართლის აზნაურებმა, რომლებსაც კვლავ არ სურდათ ძლიერი

ხელისუფლის მმართველობის ქვეშ ყოფნა, კახელები წააქეზეს და უფლისციხის აღება შესთავაზეს. დავით ქორეპისკოპოსმა ქართლი დალაშქრა, უფლისციხე აიღო და ტყვედ ჩაიგდო ბაგრათი, მისი მამა გურგენი და დედა გურანდუხტი. დავითმა სასწრაფოდ ჯარი შეკრიბა და კახეთის ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ გაილაშქრა. კახელებმა შებრძოლება ვერ გაბედეს და ბაგრათი დედ-მამასთან ერთად გაათავისუფლეს, თუმცა სანაცვლოდ ქსნის ხეობაში მდებარე გრუისა და წირქოლის ციხეები მოითხოვეს და მიიღეს კიდევ. ბაგრათი მშობლებთან ერთად კვლავ უფლისციხეში დაბრუნდა.

სად იყო და რას აკეთებდა ამ დროს იოანე მარუშისძე უცნობია. წყაროები დუმან და არაფერს იუწყებიან მის შესახებ. „კაცი ძლიერი და ერ-მრავალი“ მხოლოდ სამი წლის შემდეგ ჩნდება ასპარეზზე, როდესაც ბაგრათის ქუთაისში მეფედ კურთხევის წინადადებას წამოაყენებს. სავარაუდოდ, 975-978 წლებში იოანე მარუშისძე დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა და ბაგრათის ქუთაისში გადასაყვანად და გასამეფებლად სიტუაციას ამზადებდა.

„მატიანე ქართლისაი“ იუწყება, რომ „ამანვე ივანე მარუშის-ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისგან“. ასე რომ, 978 წელს სწორედ იოანე მარუშისძის ინიციატივითა და დავით კურაპალატის თანხმობით გახდა შესაძლებელი ბაგრათის დასავლეთ საქართველოში გადაყვანა და ქუთაისში მეფედ კურთხევა.

ამის შემდეგ იოანე მარუშისძე არცერთ წყაროში აღარ მოიხსენიება. შესაძლოა, მალევე გარდაიცვალა კიდევ.

განუზომელია იოანე მარუშისძის დამსახურება საქართველოს გაერთიანების საქმეში. სწორედ მან შეიმუშავა კონკრეტული გეგმა, რომლითაც დავით კურაპალატს მიმართა და ერთიანი საქართველოს მომავალი მეფობისათვის ბაგრატ გურგენის ძე ბაგრატიონი შეირჩა. ისტორია არის ის, რაც მოხდა, მაგრამ მაინც შეიძლება ფრთხილი ვარაუდის გამოთქმა, რომ არა იოანე მარუშისძე, შესაძლოა,



ბაგრატ III



კაცხის ტაძარი

არასდროს გაკეთებულიყო კაცხის ტაძარზე წარწერა: „ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფეი, ტაოისა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავალისა დიდი კურაპალატი“.